№ 249
ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

წელი 1877—1899

# ივერია

№ 249
ხუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

## აი გიდი, მეგობრებო

კომედ. 4 მოქ. თხზ. ვ. სარდუსი, თარგ. კ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ანასტ. აბაშიძისა, ნებიერიძისა, გარელი, წერეთელი, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აღამიძე, მძინაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ამ მოკლე ხანში დანიშნულია ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი** აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი

## წლიური კრება

მოხდება მომავალის 1900 წლის 20 მარტს. (3—6.—2)

მოვიწვევ მსურველებს ახლად შედგენილ ქართულ საეკლესიო მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად გალობის დროს; მოწონებულ მგალობელს დაენიშნება ჯამაგირი. პირობების შეტყობა შეიძლება ჩემთან.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 5.

გამგე—ლოტბარი გუნდისა ალექსანდრე (6—უ.—3) გრიგოლის ძე კავსაძე.

კვირას, 21 ნოემბერს, 1899 წელს, ნაშუადღევის 4 საათზედ

## „შრომის"

სადურგლო სახელოსნოში,

მადათოვის კუნძულზედ, მუხრან-ბატონის შენობაში, დანიშნულია

**საგანგებო კრება**

რომლის განსახილველი საქმეები იქნება, მართველობის წინადადება და სახელოსნოს მიმდინარე საქმეების გაფართოება. (3—80—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფებ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების. დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—40)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სალოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაზ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სალოსტაქრო.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებელმა, მინისტრთა კომიტეტის, 1898 წლის 28 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების მე-7 მუხლ. ძალით, საჭიროდ სცნო მიანე მმართველობასა გამო რვა თვით შეაჩეროს ბეჭდვა გაზეთის „Новое Обозрѣніе"-სი, რომელიც ქ. ტფილისში გამოდის თავადის გ. მ. თუმანოვის რედაქტორობით.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 18 ნოემბერს, ქართულ თეატრში ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ სარდუს პიესას „აი გიდი, მეგობრებო!"-ს. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ანასტ. აბაშიძე, ბ-ნნი აბაშიძე, კ. მესხი, გედევანოვი და სხვანი.

*** მთავარმართებლის კანცელარიამ სთხოვა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რაც შეიძ-

## ფელეტონი

### მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

15 ივნისს, სამშაბათს, დილის რვა საათზედ გამოვესალმე წმ. ქ. იერუსალიმს; უკანასკნელად ვილოცე ქრისტეს ცხოველმყოფელის საფლავისა და ჯვარისა წინაშე გოლგოთაზედ. პატრიარქი შეგვხვდა ამ დილითაც, ეკკლესიიდგან დაბრუნების შემდეგ, რაც დიდ ნუგეშად მივიღეთ; კვალადცა გვაკურთხა მისმა უნეტარესობამ და დაგვილოცა მგზავრობა. სამგზავრო სადგურამდის გამოგვაცილა პალესტინის რუსთა საზოგადოების გამგემ ბ-ნმა მიხაილოვმა თავისის სახლობით. დიდს ყურადღებას აპყრობს იგი მლოცავთა მდგომარეობას და ყოველის მხრით სცდილობს გაუადვილოს მლოცავთა უცხო ქვეყანაში მიმოსვლა. მანვე გამოგვაყოლა საკუთარი კავასი იაფამდის, სადაც მოვედით მშვიდობით შუაღის 11 საათზედ.

იაფაში დავიბანაკეთ რუსთა სავანეში; იგი არა მოშორებით სამის ვერსტით სამგზავრო სადგურიდგან. ეს სავანე აშენებულია იმ ადგილს, სადაც პეტრე მოციქულმა აღადგინა მკვდრეთით კეთილ-მორწმუნე ტაბითა დედაკაცი, ამ ადგილზედ არის აშენებული ახალი ეკკლესია რუსთაგან, თუმცა არა იმ საფლავზედა, სადაცა უჩვენებენ ქვაბსა, რომელსა იყო დადებულ მკვდარი ტაბითა. ამავე გამოქვაბულში არის რამდენიმე საფლავი აწ ცალიერნი, რადგანაც მათი გვამნი გარდაუსვენებიათ სხვა ადგილზედა.

იაფაში სცხოვრობენ ქრისტიანენი არაბნი მცირედ, ხოლო მომეტებული ნაწილი არიან მაჰმადის სარწმუნოებისანი. ამათ ჯვარის დანახვაზედ აღეძრებათ ხოლმე სიძულილი, ანუ ფანატიზმი: ამისათვის ურჩევენ მღვდელთა დაჰფარონ ჯვარი, რომელსაც იგინი ატარებენ მკერდზედ გარედგან, ნიშნად სამღვთო ხარისხისა, ანუ კეთილის და წარჩინებულის სამსახურისათვის დაჯილდოვებისა, სიტყვისაებრ მოციქულისა: „რომელნი კეთილად ჰმღოდიან ხუცესნი, ორის ნაწილის პატივას ღირსნი იყვნენ".

იაფაში რუსთა სადგურის გარემოს არის მშვენიერი წალკოტი, სავსე ყოველის ტროპიულის მცენარით. არის ვრცელი ბაღი ფორთოხლისა და ლიმონისა, არის ფინიკებიცა, თუმცა არა ხშირად; ვენახი ყურძნისა მცირედია; ჩვენებური ნიგვზის ხე მხოლოდ ორი ვნახე მთელს პალესტინაში; აქვე არიან: ბანანი, ნუში, ალეანდრა და სხვანი ოცამდე ფერადნი მცენარენი, თვალთა მასიამოვნებელნი და ყნოსვისა და გემოვნების დამატკბობელნი.

რუსები ისეთს აღტაცებაში მოდიან ამ ბაღის ხილვით, რომ ქვეყნიერს სამოთხედ უწოდებენ. მანქანებით ამოჰყავთ წყალი ბაღების მოსარწყავად; მანქანებს ატრიალებენ ჯორის ანუ ვირის საშუალებით.

15 ივნისს საღამოზედ მოვიდნენ ქ. ყაზანიდგან 21 მოწაფენი რუსთაგანნი გიმნაზიის ორის უფროსის კლასისა ორის მასწავლებლის წინამძღოლობით. ესენი მიემგზავრებოდნენ იერუსალიმს სალოცავად და პალესტინის სხვათა წმ. ადგილთა მოსახილველად. ღმერთმან ინებოს და აკურთხოს, რათა ამათმა კეთილმსახურების მაგალითმა სხვათაც აღუძრას სალმრთო სურვილი წმ. ადგილთა მოლოცვისა და მოხილვისა, განსამტკიცებელად სარწმუნოებრივის გრძნობისა, რაც სამწუხაროდ ახალთაობაში სუსტად ჰღვივის, ვითარცა ნაპერწკალი ნაცრის ქვეშ; ღმერთმან ინებოს, ეს წმ. მისწრაფება დიდ საღმრთო ცეცხლად ქრისტეს სარწმუნოებისა და სიყვარულისა აღგზნებულიყოს. თითოეულს მოწაფეს ცეცხლის გემით მოგზაურობა დაუჯდება ექვს მანეთად, საზრდო თვისი უნდა ჰქონოდათ.

16 ივნისს შესრულდა ერთი თვე სწორედ ჩემი სამშობლოდგან გამომგზავრების შემდეგ და დღეს ვესალმები პალესტინასა, წმ. ქვეყანად წოდებულსა. შუადღის 12 საათზედ ვსხდებით ნავებში, რომლითაც ცეცხლის გემზედ უნდა გადავიდეთ სამის ვერსის მანძილზედ. დიდი ღელვა და ფრთონაა. როდესაც ნაპირზედ მოაყენეს ნავი გადასასვლელად, მე გადავდგი ფეხი ნავში ჩასაჯდომელად, ამ დროს უეცრად ტალღამ გააქანა ნავი ნაპირიდგან და მე ერთი ფეხით ზღვაში შევრჩი; გადმოვიქნიე ხელი უკან და იქ მდგომმა კავასმა შავმთიელმა, რომელიც იერუსალიმიდგან გამოგვაყოლეს, მტაცა მარდად ხელი და დამიხსნა ზღვის უფსკრულისაგან. დიდი ტირილი შეიქმნა ნავებში მამართა და მდედრთა ზღვის ფრთონისა გამო, შიშის ზარმა მოიცვა ყოველნი, რადგანაც ტალღები საჟენის სიმაღლეზედ ისროდნენ ნავებსა. ერთმა მოხუცმა პოლკოვნიკმაც კი მორთო ტირილი, რომელიც ვამხილე სულმოკლეობისათვის და სხვანიც გავამხნევე სარწმუნოებითა და სასოებით ღმრთისა მოწყალებაზედ. მადლობა ღმერთსა კეთილის მყოფელსა ჩვენსა! ყოველნი მშვიდობით გადავრჩით ამ დიდს განსაცდელსა. მენავენი ადგილობრივნი არაბნი დიდად დახელოვნებულნი არიან ნავოსნობაში; ტალღები რომ წამოვიდოდა, დიდის შრომით და გამოცდილებით ააცილებდნენ ხოლმე ნავსა, რომ ნავში არ გადმოსულიყო წყალი. წარსულს წელს სწორედ ამ თვეში, ამ გვარსავე დიდის ღელვის დროს, ამავე ადგილს გადაბრუნებულიყო ერთი ნავი, რომელშიაც დედა ორის შვილით ყოფილიყო; დედა და ვაჟი დაირჩნენ და პატარა ქალი-კი გადაარჩინეს დარჩობასა.

17 ივნისს, დილის რვა საათზედ, მოვედით მშვიდობით ქ. ბეირუთსა. იაფიდგან დაწყებული აქამდე არ დასცხრა ღელვა ზღვისა. ტრიპოლის ქალაქს მოვედით საღამოს რვა

*) იხ. „ივერია" № 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება საჩქაროდ წარმოგვიდგინეთ ცნობები ფილოქსერისაგან დაზიანებულ ვენახების შესახებ და ამასთან გვაცნობეთ ფილოქსერის გავრცელების მიმართულება, ფილოქსერიან ვენახების საზოგადო სივრცე და საზოგადოდ მოგვაწოდეთ ყოველგვარი ცნობები ამ საგნის შესახებაო. ეს საგნები მოთხოვნილ იქმნა იმის გამო, რომ მთავარმართებლის საბჭო ამ ცოტა ხანში განიხილავს ფილოქსერისაგან ვენახების დაზღვევის საქმეს.

⁂ ამ მოკლე ხანში მთავარმართებელს განსახილველად წარედგინება პროექტი ოზურგეთიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზამდე ფართოლიანდაგიან რკინის გზის გაყვანის შესახებ. გზა სიგრძით იქმნება 17 ვერსი. მისი გაყვანა განზრახულია, სხვათა შორის, ოზურგეთის მაზრის ხე-ტყის საწარმოებლად. პროექტი საგუბერნიო მთავრობას უკვე მოუწონებია. გზა გაყვანილ იქმნება კერძო ხარჯით.

⁂ გუშინ, 17 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზედ, კიდევ ერთი უბედურება დატრიალდა ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ. ტფილისიდგან მიმავალი მატარებელი № 21 შემდგარა თუ არა ძეგვის ხიდზედ, სადგურ ქსნის მახლობლად, ხიდი ჩატეხილა და ორთქლ-მავალი და ერთი ვაგონი მტკვარში ჩავარდნილა. რამდენი კაცია მომკვდარი ან დაშავებული, ჯერ არ არის ცნობილი.

⁂ 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში, კრება ექმნება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. ამ კრებამ უნდა განიხილოს მოხსენებანი საზოგადოების ხაზინადრისა, მდივნისა და წიგნთ-საცავის გამგისა. ამავე კრებაზედ არჩეულ იქმნებიან საზოგადოების თანამდებობის კაცნი.

⁂ 16 ნოემბერს ქალაქის მოურავმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული კომისია იქმნას არჩეული ქალაქის საქველმოქმედო საქმეთა და თანხების მართვა-გამგეობისათვის. ეს განცხადება, გამგეობის-მიერ განხილვის შემდეგ, საბჭოს გარდაეცემა განსახილველად.

⁂ 16 ნოემბერს ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ნება დართულ იქმნა ბელინსკის სახელი დაერქვას ანდრეევისა და კირკასს ქუჩების კუთხეში მყოფ საქალაქო სკოლასაო.

⁂ უმაღლესის ბრძანებით სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა და გენერალ-მაიორობა ებოძა მუნდირით და პენსიით გორის სათადარიგო ჯარის უფროსს პოლკოვნიკს მაჭავარიანს.

⁂ სათანადო მთავრობას შეუწყნარებია ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს-მიერ აღძრული შუამდგომლობა საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების გასამართავად და შესანახად 10,000 მანეთის დამატებითის კრედიტის გადადების შესახებ.

⁂ ბათუმიდგან გორამდე მთელს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ თოვლი მოსულა.

⁂ ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, სტავროპოლისა და შავის ზღვის პირის გუბერნიებში მაგარას სასმელების დუქნების პატენტები 1890 წ. მხოლოდ ნახევარის წლით, 1-ლ იანვრიდამ 1-ლ ივლისამდე, უნდა მიეცეთ, რადგან განზრახვა აქვთ ხაზინას გარდასცენ ამ გუბერნიებში სასმელების გაყიდვის საქმე.

⁂ ამ დღეებში გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა" ქუთაისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად თვის-მიერ ამხანაგობისათვის ახლად შედგენილი წესდება. წესდება შედგენილია ნორმალურ წესდების მოთხოვნილების თანახმად და ამიტომ საიმედოა, რომ იგი მალე იქმნება დამტკიცებული.

⁂ თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმე დანიშნულია ხელმეორედ განსახილველად ტფილ. სამოსამართლო პალატაში მომავალის წლის 13 იანვრისათვის.

⁂ მთავრობას შესაძლებელად უცვნია სამის კაპეიკის გარდასახადი დაწესდეს თვითეულ მგზავრზედ დიდუბისა და ვერის ბორანით მტკვარზედ გასვლისათვის.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენატორი ს. ბ. ვრასკი ტფილისში დაბრუნდა.

⁂ ქალაქის 1900 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს შემდეგს მორიგ სხდომაზე.

⁂ ტფილისის სააბრეშუმო სადგური ამ ჟამად იკვლევს სხვა და სხვა კაცთა და ფირმებისაგან წარდგენილ აბრეშუმის თესლს, რომელიც საფრანგეთიდგანა და ოსმალეთიდგან მიუღიათ.

⁂ ამხანაგობას „კოლხიდას", რომელმაც ამას წინად დაიწყო მოქმედება, საგნად აქვს ხელი შეუწყოს შინა-მრეწველობის განვითარებას. საწარმოო თანხა უნდა შესდგეს წილის ფულის შეკრებით; წილის ფული უდრის 10 მანეთს.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თუმანოვის ვიწრო ქუჩის მცხოვრებნი ძალიან შევიწროებულნი არიან შემდეგის გარემოების გამო: ხშირად მთელის სამის დღის განმავლობაში ისინი თურმე წყლის მზიდავს მეთულუხეს ვერსად შოულობენ და იძულებულნი არიან უწყლოდ დარჩნენ. დროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ-არს.

⁂ ბათუმიდგან „ტფ. ფ."-ს აუწყებენ, რომ ამ უკანასკნელ თვეებში იქ მრავალი დიდი სახლი შენდება თურმე, უმთავრესად შუა ქალაქში. ქალაქს ესაჭიროება იაფი ბინები მუშა-ხალხის სიმრავლის გამო; ხოლო შუა ქალაქის დიდ-დიდი სახლები კი თავიანთის სიძვირის გამო ამ ხალხს ოდნავაც არ უმსუბუქებს ხვედრს; დიდი სახლები ბათუმში ძალიან მრავლად არის და მთელის წლობით ცარიელია ხოლმე.

⁂ ქუთაისიდგან „ახ. მ." აუწყებენ, რომ ადგილობრივი საგუბერნიო ადმინისტრაცია კრედიტს თხოულობს შემდეგ სასწავლებელთა შესანახად: ორის ორ-კლასიან სასწავლებლისა—სოფ. ხულოში (ბათუმის ოლქში) და სოფ. ვლადიმიროვკაში (სოხუმის ოლქში); სამის ერთ-კლასიან სასწავლებლისა—სოფ. დარჩელში (ზუგდ. მაზ.), სოფ. მეტიაში (ლეჩხუმის მაზ.), და სოფ. ღიხნში (სოხუმის ოლქ.); სულ ადმინისტრაცია თხოულობს 14,100 მანეთს.

⁂ იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ქუთაისში, რამდენიმე ინტელიგენტ ქალის თაოსნობით, 20 ნოემბერს გაიმართება კონცერტი და სალიტერატურო დილა გორის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

⁂ „პეტ. უწყ."-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას გასანათებლად სახმარ ნავთის აქციზი და სრულიად მოისპოს მანქანებისათვის სახმარ ნავთის აქციზი.

## ორი სიტყვა

ჩვენებურ ნაწარმოებთა გასყიდვის შესახებ.

(ვუძ. ილ. ზარ—შვილს)

1899 წლის 26 ოქტომბერი, მარსელი. შარშან სწორედ ამ დროს „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის" საჭიროებამ მარსელში ამომაყოფინა თავი. იმავე საჭიროებამ 1896 წელს, გურიის ამხანაგობის წარმომადგენელთან დ. კ—შვითან და ბ-ნ ილ. ზ—თან ერთად, ნუხაშიც გამამგზავრა. მაგრამ პარკის მყიდველებს მარსელში სულ სხვა წესი აქვთ მიღებული, ვიდრე ჩვენებურ მყიდველებსა, რომლებიც პარკს თვალ-და-თვალ, ვარაუდით ჰყიდულობენ და ამ ვარაუდის დროს სახეში აქვთ მარტო ერთი მხარის ინტერესი. საფრანგეთში პარკს ჰყიდულობენ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ აბრეშუმის ძაფად და არა პარკად. მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდებიან. თუ რა ეღირება იმდენი პარკი გასასყიდის საქონლისა, რამდენიც მოუნდება ერთ კილო ძაფსა (2 ნახევარი გირვანქა): თუ პარკი კარგის ჯიშის ჰქიისაა, თითონაც პირველ ღირსებისაა, კარგი ადგილის ანუ ქვეყნისა,—მისი ძაფიც მეტი ეღირება; ამ ფასების გადაწყვეტა იმ დროს, რასაკვირველია, უყურებენ მოთხოვნილებას, მაზანდას. მაგალითად, დღეს მარსელში ქუთაისის გუბერნიის პირველ ხარისხის თეთრი პარკი, ერთი კილო აბრეშუმის მომცემი, ღირს თექვსმეტ მანეთად და 50 კაპ. ყვითელი პარკი ამავე ადგილისა კი, იმავე ერთის კილო ძაფის მომცემი, ჰღირს თვრამეტ მანეთად. სირიისა ანუ კიპრისა ოც მანეთამდე და სხვა. როცა მყიდველს ამ ფასად გაურიგდები, ჯერ კიდევ არ იცით, თუ თქვენი ერთი ფუთი პარკი რა ფასად გაქვთ გაყიდული, რადგან არ იცით, რამდენ ძაფს მოგცემთ. აი სწორედ ამის გასაგებად მყიდველ-გამყიდველი, დალალის ხელით, იღებენ პარკს თითოეულ გაყიდულ ცალისაგან ნიმუშად და ყველასაგან იმოდენას, რომ ერთად ნიმუშებმა შეადგინოს ერთი ფუთი პარკი (16 კილო). ნიმუშები, რაც კი შეიძლება სამართლიანად უნდა იყოს ამოღებული, რომ არც ერთს მხარეს ზარალი არ მოუვიდეს. ამ 16 კილო პარკს გადასცემენ განსაკუთრებულ დაწესებულებას (Condition de soie), რომელიც ამავე დროს, ნიმუშების ამოღებისა თანავე, აუწონავს მყიდველს მისგან ნაყიდ პარკის ცალებს და შეუდგენს სიას თითოეულ ცალისას ტარიანად და უტაროდ. წონის სია ერთი ეძლევა მყიდ-

---

საათზედ. დაღამების გამო აქ გაჩერდა ორთქლმავალი, რადგანაც ბარგის მიღება და გარდაცემა არ შეიძლებოდა გათენებამდის.

18 ივნისს, დილის რვა საათზედ, გამოვედით ტრიპოლის ქალაქიდგან. ცეცხლის გემზედ, რომელსაც „როსსია" ეწოდება, წამოვიდნენ ბეირუთის ქალაქიდამ იქაურ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელნიც მიემგზავრებოდნენ კონსტანტინეპოლს ეგზამენის გარდასახდელად. ესენი საუბრობდნენ ოსმალურად, არაბულად, ფრანგულად და ბერძნულად, და, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, ერთგვარად ეცვათ და თავზედ ყველას წითელი ფესკა ეხურა.

19 ივნისს, საღამოზედ გემზედ შევასრულეთ მწუხრი და ცისკარი; ერთმა ათონელმა რუსის მონაზონმა მეორე ადგილს წინადვე იწყო ღვთის მსახურების შესრულება, მლოცავნი საწირავს აძლევდნენ, ხოლო როდესაც მღვდელნი შეასრულებდნენ ღვთის-მსახურებასა, უსასყიდლოდ იყო მოსმენა ლოცვისა, სახარების მცნებისაებრ: „უსასყიდლოდ მიგიღებიეს, და უსასყიდლოდ მიჰსცემდით".

21 ივნისს, ოთშაბათს, დილის შვიდს საათზედ მოვედით ქ. სმირნას. ვილოცეთ აქ წმ. იოანნე ღვთისმეტყველის ეკკლესიაში, რომელშიაც კანკელი ნიგვზის ხისაა. ზედ ხელოვნურად ამოჭრილია ჩუქურთმით წმ. იოანნე ღვთისმეტყველისა, მთავარ მოწამე გიორგისა და წმ. ნიკოლოზ მღვდელმთავრის საკვირველმოქმედის ღვაწლნი და სრული ცხოვრება. ამ ეკკლესიაში უჩვენებენ ბერძნულს სახარებას, ვითომც მიც. იოანნე მახარებელის მიერ საკუთარის ხელით დაწერილს; მაგრამ ამ ერთს წიგნშია მოთავსებული სხვა სამი სახარებაც, არცა ტყავზედ არს დაწერილი, არამედ გასანთლულ ქაღალდზედ, შიგ არიან დახატულნი ოთხნი მახარებელნი ფერადის საღებავით, სხვა რაიმე შესანიშნავი არა მოიპოვება-რა. უჩვენებენ ამ სახარებას იმისათვის, რომ ისარგებლონ შემოსავლით მნახველთაგან; ცხადია, რომ ეს სახარება მოციქულთ დროებისა არ არის.

ქ. სმირნიდგან გამოვედით 22-ს ივნისს, საღამოს 7 საათზედა, და სტამბოლს მოვედით 24 ივნისს, დილის ოთხს საათზედა, აქ დავუექით 26 ივნისს, შაბათს ოთხს საათამდე. სტამბოლში აღარ შევსულვარ გამოვლაზედ არც ერთს რუსის მონასტრის მეტოქიაში. წმ. პანტელეიმონის მონასტრის რუსთ მეტოქიაში წესად აქვთ მიღებული ყოველ დილით ქალაქის გლახაკთა თეთრს პურს დაურიგებენ ხოლმე თითო გირვანქობითა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა განურჩევლად; ხოლო შაბათობით ზოგს მათგანს წვრილს ფულსაც აძლევენ მოწყალების სახით. ამ ქრისტიანულ სასიქადულო სათნოებასთან ვერ შემითანხმებია ერთი შემთხვევა, რომელიც ათონის ქართველთა სავანეში მიამბეს. წარსულის წლის ენკენისთვეში სტამბოლში მისულიყო საქართველოდგან ერთი ჩვენის ეროვნობის ახალგაზდა თუშთაგანი. გემზედ ფული თურმე მოჰპარეს, დარჩა ცარიელი უცხო ქვეყანაში, უმეცარი ადგილობრივთა ენათა. ამ გაჭირვებაში მიჰმართავს თურმე რუსის მონასტრის მეტოქიას, რომელსაც სამ-სართულიანი სახლი აქვს სტამბოლში, სთხოვს შეწყნარებას და ღამის გატარებას მათს მეტოქიაში; არ მიიღეს თურმე იგი უცხო და დაივიწყეს სახარების მცნება: „უცხო ვიყავ და არ შემიწყნარეთ მე". არ მიიღეს იგი, ცხადია, იმისათვის, რომ არ იცოდა რუსული ენა, არ ეცვა სერთუკი ანუ კაბა მორჩილისა; არამედ ემოსა ქართული ჩოხა და ეხურა თავს თუშური ქუდი, თუმცა იგი თავისს მრთელ-მადიდებლობას პირჯვარის გამოსახვით არწმუნებდა. როდესაც აპირებდა ქალაქ გარედ მინდვრად გასვლას და იქ ღამის გათენებას, მაშინ ღმერთმან მოუვლინა მას, ვითარცა მფარველი ანგელოზი, დროებით სტამბოლში მცხოვრები ქართველი მიხეილ ნიჟარაძე, რომელმაც მშობლივის სიყვარულით წაიყვანა თავისს სადგომში და სიამოვნებით გაატარებინა ღამე; მეორე დღეს საგზავრო ფულიც მისცა, გემზედ აიყვანა და დაამგზავრა ათონის მთისაკენ. მე ვკონებ მისი არ შეწყნარება რუსის სავანეში მოხდებოდა უცნობელად უფროსთა ძმათა, მდაბალი განუკითარებელის მორჩილის უმეცრებითა, რომელნიც მეკარედ აუყვანიათ.

ეს ჩვენი სამშობლო შვილი აწ ღირსეულად ჰმოღვაწეობს ათონის ქართველთა სავანეში.

დრონი იცვალნენ! სახელოვანი ტომი ქართველთა ერისა—თუშნი, ქებულნი თვისის რაინდობითა და მამაცობით რამდენსამე საუკუნეში, დასახლებულნი ქართველთა მეფეთაგან კავკასიის მთის მწვერვალზედ, დაღისტნის სამზღვარზედ, შიშის ზარს სცემდნენ ლეკთა, ჩეჩენთა და დიდოთა თავისის ვაჟკაცობითა და მედგარის მამაცობითა და ლომებრ ბრძოლითა შამილის დამორჩილებამდე. ერთი მათ შვილთაგანი დღეს იხსნის ლესულსა ხმალსა, თავისს ერთგულსა მეგობარსა ყოველსა გაჭირვებაში, და ჯანითა და ღონითა სავსე ახალგაზრდა, ოცის წლის ჭაბუკი იღებს სულიერს ხმალსა, ესე იგი, სიტყვასა ღვთისასა, დასდებს ფარსა, მტერთაგან მოსაგერებელსა, და იპყრობს ფარსა სარწმუნოებისასა, იხდის რკინის ჩაფხუტსა და შეუდგება ცხოვრების გზასა, განიძარცვავს წვრილ-თვალთა ჯაჭვსა რკინისასა და შეიმოსს სიმართლესა, მოიხსნის ვერცხლის სარტყელსა და შემოირტყამს ჭეშმარიტებასა, ჩამოიხსნის თავისს ერთგულსა თოფსა, მეხებრ მგრგვინავსა დღესა ბრძოლისასა, დასამრეტელად განხურვებულთა ისართა ბოროტისათა, ერთის სიტყვით, ქვეყნიერი უშიშარი მხედარი ხელმწიფისა შეიქნება ზეციერის მეუფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველს, მეორე გამყიდველს. ამის შემდეგ ისინი უცდიან ნიმუშების ძაფად ამოღების შედეგს, რომელსაც მიიღებენ იმავე „კონდისიონ“-ისაგან ერთის—ორის კვირის განმავლობაში.

როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, ქუთაისის გუბერნიის პარკი ყველა სხვა ქვეყნების პარკს სჯობნის ძაფის სიმრავლით, მაგალითად, როცა „ქუთაისის პარკი“, როგორც ეხლა აქ ეძახიან (წინად კი „კავკასიისა“ ერქვა ყველას და დიდს ღირსებას ამ „კავკასიის“ პარკში ვერა ჰპოულობდნენ, რადგან უმეტეს ნაწილად განჯის გუბერნიიდგან ყოფილიყო ის პარკი), სამი გირვანქა და მესამედი იძლევა ერთ გირვანქა ძაფსა, სხვა ქვეყნებისა უნდება სამი გირვანქა და ორი მესამედი, ხშირად ოთხი გირვანქა ერთის გირვანქა აბრეშუმის ძაფის მოცემას, თუმცა როგორც ზევით ვთქვით ძაფი სირიისა ანუ კიპრის და ადრიანოპოლისა, აგრეთვე იტალიისა და თითონ საფრანგეთის პარკისა უფრო ძვირად ჰფასობს ჩვენის ქვეყნისაზედ, როგორც უფრო წმინდა და გამზიდავი (ელასტიკი).

ამ ღირსებამ ჩვენის ქვეყნის პარკს ერთი ათად მოუმატა მყიდველები, ასე რომ წელს თითონ ფრანგები მოვიდნენ, ლიონიდგან პარკის სასყიდლად ქუთაისსა და სამეგრელოში, რადგან ადგილობრივ „ვარაუდად“ ნაყიდი პარკი აქ კარგს მოგებას აძლევს მყიდველს.

თუმცა შარშან, წლევანდელთან შედარებით, ადგილობრივ ნედლს თუ ხმელ პარკს საკმაოდ კარგი ფასი ჰქონდა, ასე რომ შარშანდელი პარკის მყიდველები დიდ საყვედურს ამბობენ შარშანდელ წლისას, მაგრამ ამხანაგობას შარშან მარსელში პარკის გამოგზავნამ კიდევ შესძინა, თითეულ ფუთზედ, ყოველ ხარჯს გარდა, ოთხი მანეთი (სულ ათასი ფუთი პარკი გაჰყიდა შარშან ამხანაგობამ მარსელში).

ან-კი საიდგან შევიტყობთ ჩვენ ღირსებას ჩვენის ქვეყნის ნაწარმოებისას, როცა ასე „ვარაუდით“ ვყიდით ადგილობრივ. ასე გვიყიდა ჩვენში ათას წლოვანი კაკლის ხეები და ბზა, და იყიდება დღესაც მატყლი, პარკი სიმინდი და ათასი სხვა სიმდიდრე.

„მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ“ წელს გამოგზავნა აქ საქონელი ორი ათას ფუთამდე და შემდეგისთვის ჰსურს იყოლიოს აქ საკუთარი კაცი ჩვენის ქვეყნის ნაწარმოებთა გასასყიდად, იმისდა გვარად, როგორც არიან აქ ასეთი გამყიდველები, კერძო კაცნი სომხები, ბერძნები და თითონ ფრანგები (საკომისიო კანტორები). ამხანაგობის კანტორა, როგორც დამცველი მწარმოებელთა ინტერესებისა, ხელს შეუწყობს ჩვენებურ მწარმოებლებს, როგორც მეაბრეშუმეებს, ისე მეცხვარეებს, სიმინდის მეპატრონეთა და სხვებს, თუ კი ესენი ეცდებიან თავის მხრივ აქამდე მოაღწევინონ თავიანთ საქონელს. ამისთვის კი საჭიროა, რომ მწარმოებლები ადგილობრივ შეერთდნენ ამხანაგობებად და თავიანთი ნაწარმოები მოაგროვონ და მოამზადონ აქ გამოსაგზავნად. საჭიროა, მაგალითად, კახეთის მეაბრეშუმეებმა შეადგინონ საკუთარი ამხანაგობა, ან ხელი მოუწყონ, შემოუერთდნენ ქუთაისის გუბერნიის ამხანაგობას, რომ ამან იქაც გაავრცელოს თავისი მოქმედება. საქმე დაწყებულია, საცდელი თითქმის არაფერია. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივ ძალ-ღონის მოკრება, ადგილობრივ ცოტაოდენი გარჯა ამ კეთილის საქმის განსახორციელებლად. აგრეთვე მეცხვარეები, რა-კი ადგილობრივ თავს მოიყრიან, იქვე ეცდებიან, რომ მათი საქონელი უკეთ მომზადდეს გასასყიდად: გასარეცხია, თუ გასარჩევი, ადგილობრივვე დანახელავდეს, რომ აქ ადვილადაც გასაღდეს და მეტ ფასადაც.

ნ. წ.

P. S. ამხანაგობის კაცი ამ ადრესით მიიღებს წერილს მსურველთაგან N. Bsérétéli. Marseille.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** 8 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ განაგრძო დერულედის ჩვენების ჩამორთმევა. ამ დღეს ბრალდებულს უფრო წესიერად ეჭირა თავი, ვიდრე წინა დღეებში, თუმცა-კი მთელი მისი სიტყვა თავიდგან ბოლომდის გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ რაცა ვარ, მე ვარო, თორემ სხვამ ვინ რა იცისო. ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მე საფრანგეთის სახსნელად ვარ მოვლინებულიო. მომეტებულად საინტერესოა მისი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ დაემხდა ის ისეთს კაცს, რომელსაც მისი პოლიტიკური გეგმა უნდა განეხორციელებინა.

ნუ თუ თქვენ ჰფიქრობთო,—შესძახა დერულედმა სენატორებს,—რომ თქვენი აქედგან განდევნა ძნელი საქმე იყოსო? ამისათვის საკმარისია მხოლოდ პარიჟის სამხედრო გუბერნატორი, თუ გნებავთ, თითონ გალიფე, ის რომ ათის წლით უფრო ახალგაზდა იყოსო. როგორც თითონ იღაპარაკა, დერულედს ერთს დროს უფიქრნია, ფელიქს ფორი მხარს დამიჭერსო და კიდევაც უთხოვია მისთვის დახმარება. მაგრამ ფორს მოკლედ უპასუხნია, რომ მე კონსტიტუციის ძალით ამირჩიეს პრეზიდენტად და იმავე კონსტიტუციას დარაჯად უნდა ვუდგეო. რადგან ფორი ჩემი ჭკუის კაცი არ გამოდგაო,—განაცხადა დერულედმა,—პარლამენტს წინადადება მივეცი კონსტიტუციის გადათვალიერების შესახებ და კონგრესის მოწვევა ვთხოვეო, მაგრამ აქაც დავმარცხდიო. მკითხავთ, თუ რა მსურს მეო?—სთქვა დერულედმა;—მე მსურს თანასწორობა მეინიჭოს ხალხს, რომელსაც თქვენ უფლება წაართვით, სენატორების და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევაშიო.

შემდეგ გადავიდა რა ბრალდებაზე, რომ ის მონარქიელების სასარგებლოდ იღწვის, დერულედმა უარ-ჰყო ეს ბრალდება და სთქვა, რომ მეფობა შეუძლიან აღადგინოს პარლამენტს, და არა ქუჩასო. ამტკიცებენო, სთქვა დერულედმა,—რომ „პლებისციტი — იმპერია არისო“. ეს ტყუილი არისო,—დასძინა მან; ჩემი დედა-აზრი სულ სხვა არის, მე ნამდვილ დემოკრატიულ წესწყობილებას ვარ მოწადინებულიო. მე მართალს გზას ვადგევარო,—განაგრძო მან;—ადრე თუ გვიან მე ისევ შევუდგები ჩემი მოვალეობის აღსრულებას, და თქვენი რესპუბლიკა დაიღუპებაო.

შემდეგ დერულედი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ვითომც ხალხი ისე უყურებდა მას, როგორც თავისს მხსნელს. როცა იმ შენობიდგან გამოვედიო,—განაცხადა მან,—სადაც პრეზიდენტის ასარჩევად კონგრესი იყო შეკრებილი, გზაში ხალხი დამხვდა და გაიძახოდა: „გაუმარჯოს დერულედსო“! მე მივხვდი, რომ ჩემგან რასმეს მოელოდნენ, რაღაცას ითხოვდნენ, მაგრამ მაშინ ახალი დაბრუნებული ვიყავი პარიჟში და მომზადებული არ ვყოფილვარო. პარიჟში, რკინის გზის სადგურზედაც, ასეთისავე აღტაცებით მომეგება ხალხიო. რა უნდა მექნა ხალხისათვის? მე იმას გავუძეხი ელისეის სასახლისკენ. ხმაურობა-კი გაისმოდა: „ელისეს სასახლეში წავიდეთო!“ არა,—ვთქვი მე,—დღეს სასახლეში ასვენია ცხედარი იმ კაცისა, რომელიც მიყვარდა მე. ჩვენ იქ წავიდეთ ხუთშაბათ საღამოს და ვეცადოთ სახელმწიფო ცვლილება მოვახდინოთო.

დასასრულ დერულედმა წაიკითხა თავისი პროკლამაცია, შედგენილი იმ შემთხვევისათვის, თუ მოეხერხებინა ჯარის ამბოხება 11 აპრილს. აი ის პროკლამაცია:

„ფრანგნო! 1875 წლის კონსტიტუცია გაუქმებულია. საყოველთაო ხმის მიცემის უფლება აღდგენილია. რესპუბლიკა ისევ ნამდვილი რესპუბლიკა იქმნება და მთელის საფრანგეთის კუთვნილება. მთავრობა, რომელიც რჩეულთა და მოსყიდულთაგან შესდგებოდა, გადავაყენეთ პარიჟის მკვიდრთა და საფრანგეთის მხედრობის დახმარებით. პარლამენტი დათხოვნილია, რესპუბლიკის პრეზიდენტი გადაყენებულ. პარლამენტარული რესპუბლიკა აღარ არსებობს. გაუმარჯოს პლებისციტარულ რესპუბლიკას“.

## ბიბლიოგრაფია

„წმ. მოწამე აბო ტფილელი, გამოცემა საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო მუზეუმისა № 3, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა 1899 წ.“

„იმედია, რომ პატიოსანნი სამღვდელონი საქართველოს ეკლესიისანი სიამოვნებით მიეგებებიან ამ პატარა წიგნაკის დაბეჭდვას“.

(შენიშვნა ამ წიგნის გამოცემის ზედამხედველისა)

ეს სიტყვები, ჩვენის აზრით, ეკუთვნის ტფილისის ანჩისხატის საკრებულო ტაძრის მოძღვარს მ. ზ. კარბელაშვილს, რომლის ზედამხედველობით აღბეჭდილია ზემოდ დასახელებული ფრიად საინტერესო წიგნი. ამ წიგნის გამოცემის ისტორია მოკლეა, მაგრამ ბევრის მეტყველი. საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სიძველეთ საცავის თავმჯდომარემ ალავერდის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო კირიონმა განიზრახა აღბეჭდვა ქართულს ენაზედ ამ სიძველეთ საცავში დაცულ ზოგიერთ საყურადღებო ხელნაწერებისა. ამ ხელნაწერთა შორის უშესანიშნავეს განძად უნდა ჩაითვალოს იქმნას როგორც ენის, აგრეთვე შინაარსის მხრით, „წმ. აბოს ცხოვრება“. წმ. აბოს ცხოვრებას დართული აქვს დაბეჭდილს წიგნაკში „საგალობელი გალობა“ ამა წმიდისა მიმართ, ამოღებული ცნობილის მიქელ მოდრეკილის მეათე საუკუნის კრებულიდგან. აი მოკლედ ამ წიგნის გამოცემის ისტორია, რომლის დაბეჭდვას „სიამოვნებით მიეგებებიან პატიოსანნი სამღვდელონი საქართველოს ეკლესიისა“. თუ მართლა რა სახით მიეგებება ამ წიგნაკის დაბეჭდვას საქართველოს სამღვდელოება, გავრცელდება თუ არა იგი მის წევრთა შორის, თუ ჩვეულებრივის ქართველურის გულგრილობით მიღებულ იქმნება იგი, ამ საკითხს ჩვენ არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ წიგნის გაცნობა ბევრს საგულისხმო აზრსა და გრძნობას აღუძრავს შეგნებულს ქართველს. უპირველეს ყურადღებას ამ წიგნის გაცნობის დროს შეგნებული ქართველი მიაქცევს იმ ხანას, როდესაც სცხოვრობდა წმ. აბო. ის სცხოვრობდა მერვე საუკუნეში, როდესაც მრავალ-წამებული საქართველო არაბთა მონობის უღლის ქვეშ საცოდავად გმინავდა და მწარედ მდუღარე ცრემლებს ჰღვრიდა. ამისდა მიუხედავად ქართველი ერი, რომელმაც შექმნა თქმულება: „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვითკირსა“-ო, არ დაეცა სულით არაბთა ბატონობის სავალალო დროს, მას გული არ გაუტყდა ჭირის გამო; თვალ-ცრემლიანი არა ჰკარგავდა შეურყეველს იმედს სანატრელ მერმისისას, და მართლაც არ უღალატა ამ იმედმა!..

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ადამანტისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა“.

ასეთი იყო სწორედ ქართველი ერი არაბთა ბატონობის დროს. ის მართლაც მოყვარე იყო თვისის მიწისა და ყოველისავე მის, რაც ამ მიწის ზედაპირზედ უძვირფასესს საუნჯედ ითვლებოდა. იგი თავგანწირულად მოყვარე იყო თვისის სჯულისა, რომლის დროშა თამამად და მაღლად ეჭირა მართლადაც ამ შავთა დროთა განმავლობაში. ქართველს არაფრად მიაჩნდა ჩქარწარმავალი სოფელი და მისი აჩრდილისებური სიამოვნება, უკეთუ მისი „წმიდა-წმიდათა“ შეიბღალებოდა. ის სახელოვანს სიკვდილს არჩევდა ამ წმიდა წმიდათას შებღალვასა და სირცხვილით აღსავსე სიცოცხლესა. მაშინდელის ქართველების უმრავლესობა იტყოდა, რუსთველის მსგავსად:

„ჩალად მიჩნს მთელი სოფელი
მისთვისვე შემიწონია“...

სწორედ ასეთს ერს, საგმირო გრძნობებით ღრმად გამსჭვალულს, მჩაგვრელთ უმრავლესობის მიერ დაჩაგრულს უმცირესობას, გაეცნო წმ. აბო, ტომით არაბი, შორეული, უცხოელი, გადმოტყორცნილი უცნობს მხარეს არა ნივთიერ სარგებლობისა და სიმდიდრის საძიებლად, არამედ საძიებლად ჭეშმარიტებისა... ძლიერმა წყურვილმა ჭეშმარიტების პოვნისამ შეაყვარა მას ქართველთა მთავარი ნ ე რ ს ე, სამშობლოდგან ბაღდადს წაყვანილი, ბნელს ციხეში უსამართლოდ გამომწყვდეული უსამართლო არაბების მიერ... გრძნობა სიმართლისა, ზნეობითის ვალისა,— კეთილშობილური გრძნობა, ამამაღლებელი კაცის ბუნებისა, ადამიანის არსების გამაღვთაებელი, ჩასძახოდა მას განუწყვეტლივ ნერსესთან ერთად წასვლას მშვენიერს საქართველოში, მის მხნე, ნიჭიერ და ღვთისნიერ ხალხთან დამეგობრებას, იქ პოვნას ჭეშმარიტებისას, იქაურის ერის წმ. ეკლესიაში... წმ. აბო დაემორჩილა ამ შინაგანს ხმას, ამ მოწოდებას მისის შინაგან ბუნებისას და მოიწადინა საქართველოში წასვლა. იმან გრძნობის გავლენის ქვეშ შეიძულა თვისი თანაერთხორცი და თანაერთსჯული არაბთა ერი, როგორც უსამართლო უმრავლესობა, მუშტსა, ხმალსა და ძალ-მომრეობაზედ დამყარებული, და ღრმად შეიყვარა ქართველი ერი, ეს დაჩაგრული უმცირესობა, მიიღო ამისი სჯული, შეისწავლა მისი ენა და სრულიად გაქართველდა... აი რა გავლენა ჰქონდა მერვე საუკუნეში, არაბთა ბატონობის დროს, ქართველს ერს ზოგიერთს უცხოელებზედ,—რა ნაირად მოინადირებდა იმათს გულს თვისის გმირთა გმირულის გაუტეხელის ხასიათით, თვისის მხურვალე სიყვარულით წმ. ეკლესიის მიმართ.. აი ამის გამოა ძვირფასი წმ. აბოს ცხოვრების გაცნობა, იმ წმ. აბოსი, რომელმაც ქართველის ხალხისვე გასამტკიცებლად, სამაგალითოდ თავი შესწირა ქრისტეს სარწმუნოებას... ის ეჭვდაუდებელი, უცილობელი საბუთია იმ სულიერის სიმტკიცისა, რომელიც შეადგენდა არაბთაგან დაჩაგრულ ქართველის დიდს განძსა... წმ. აბოს „საკვირველს ლოცვაში“ ნათქვამია: „ნუ დააცადებ, წმიდაო აბო, მეოხებასა შენსა, მვედრებელთა შენთათვის, რომელნი წლითა

---

კეთილმორწმუნე მხედრად. თუში მონაზონი, ისიც 19 საუკუნის დასასრულ, ეუცხოება ყურს. აქ არის განსაკუთრებითი მოწოდება ზენაით. ეს ჩვენი საყვარელი სამშობლოს შვილი საზღვარ გარედ მიისწრაფის, რათამცა დაფარულ ჰყოს თვისთაგან მოღვაწეობა თვისი სულიერი და დაუბრკოლებელად მსახუროს უფალსა იესო ქრისტესა, სიტყვისაებრ სახარებისა: „ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, მამა ანუ დედა თვისი, ცოლი ანუ შვილნი, ძმანი ანუ დანი, ანუ აგარაკნი, სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს. ეს ჩვენი ძმა დღეს ასრულებს ამ მცნებასა უფლისა მაცხოვრისასა. ვისურვებთ, რათა ღმერთმან მადლი და ძალი მიანიჭოს კეთილად მოღვაწეობისთვის ამ ახალს სასულიერო სარბიელზედ, სარწმუნოება დაიცვას და დასასრულ მიიღოს აღთქმულს ჭეშმარიტთა მოღვაწეთათვის დაუჭკნობელი გვირგვინი სასუფეველსა ცათასა. ამ გვარნი უმრწემესნი ძმანი უნდა შევიწყნაროთ ქრისტეს სახელით, თორემ ჯვრებითა და ორდენებით შემკობილთა ყოველგან ჯეროვანს პატივსა სცემენ.

ერთი ამ გვარი შემთხვევა მე შემხვდა 1885 წელსა 13 აგვისტოს კიევის ლავრის საკრებულო ტაძარში. მივედი ცისკარზედ ღამის ორს საათზედ, მლოცავნი მრავალნი იყვნენ, შესვლა ტაძარში გამიძნელდა, ბოლოს ვნახე ერთი მორჩილი ეკკლესიად შემავალი. ვთხოვე, როგორმე შემიყვანე-მეთქი ეკკლესიაში; მან მითხრა: „მომკიდე მაგრად ხელი ქამარში და მომყევიო“. როგორც იყო მიმიყვანა დიდის შრომით საკითხველო ადგილამდის (კლიროსამდის); სიცხისაგან გული მიწუხდა, როდესაც ავდგი ფეხი კიბეზედ კლიროსზედ ასასვლელად, მაშინ შემომხედა მკაცრად ოქროს ჯვარით მოსილმა მონაზონმა, რომელიც ჰლოცულობდა ხოროზედ და მითხრა უპატივცემულოდ: აქ ყველასათვის ადგილი არ მოიპოვებაო; ამ დროს გადავიწიე გარე ანაფორა, რომლის ქვეშაც ვატარებ ოქროს ჯვარსა და ორდენს, ამისი მხილველი მამა იღუმენი შეკრთა, დიდის ბოდიშით მომატანა ხელი, მაშინვე ამიყვანა კლიროსზედ და დამითმო სელი შესასვენებლად.

დეკანოზი პ. დ. კონჭუშვილი-ილწოველი

(შემდეგი იქნება)

წლად მოვილტვით ქებად, გალობად და თაყვანისცემად სამარტვილოისა შენისა“. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ქართველებმა ღირსეულად იცოდნენ დაფასება თვისის გმირებისა... საქართველოს ეკკლესიამ შერაცხა წმ. აბო წმიდათა შორის, საყოველთაო დღესასწაულიც დააწესა მისი სახელის სადიდებლად და სამადლობელი საგალობელიც შეადგინა ამ წმიდისა მიმართ... წმ. აბოს სახელზედ მრავალი ეკკლესია იქმნა აღშენებული საქართველოში. ამ შემთხვევაში ჩვენი ძველები გაცილებით გვჯობდნენ ახლანდელს ქართველებს, რომელთ გულგრილობა მშობლიურის ეკკლესიის მიმართ დღეს უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარებულია... ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ არც კი ვიცით ჩვენის საეკკლესიო მოღვაწეების მოკლე ცხოვრებაც-კი, არც კი ვიცით თუ რა დაუფასებელი ღვაწლი დაგვდეს მათ თვისის თავგანწირვით, თვისი მოწამებრივის სიკვდილით,—არ ვიცით, რა წინ წამწევი, გამამხნევებელი ძალა შთაბერეს მათ ქართველის ერის სულსა და გულში... დიდის მადლობის ღირსია ყოვლად სამღვდელო კირიონი, რომ ისეთი კეთილი საქმე უნებებია, როგორც ზემოდ-ხსენებული წიგნის გამოცემაა,—და აგრეთვე ანჩისხატის მოძღვარი მამა ბოლიევქტოს კარბელაშვილი, რომელსაც ყოვლად-სამღვდელოს სურვილი სისრულეში მოუყვანია... ამ წიგნაკში არა თუ მხოლოდ „შატიოსანნი სამღვდელონი საქართველოს ეკკლესიისა“, არამედ საერონიც ქართველის საზოგადოებისა შეხვდებიან ბევრს სასარგებლო აზრს. შეიძლება, ზოგიერთმა ამ წიგნაკის ფასი, 30 კაპ., დიდად მიიჩნიოს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს მანვე, რომ ამ ფასით იგი შეიძენს ერთს საუკეთესო განძთაგანს ქართულის სასულიერო მწერლობისას, შექმნილს მერვე და მეათე საუკუნეში.

ნ—ელი

## დამაკვირდი

მოუსმინე ცოლს, მაგრამ იმის რჩევას ნურასოდეს ნუ აჰყვები.

(ჩინური ანდაზა)

* * *

ჰხამს სურვილი მსურველზე მცირე იყოს, რომ საქმე მოეგვაროს.

ლასურიძე

* * *

ჭეშმარიტი რიტორი მთავარ აზრებით ხელმძღვანელობს და მჭევრ-მეტყველობს, ხოლო მამობრულს ნაკადულებსა და ნაყურებს იშვიათად შემოიკრებს ხოლმე კალაპოტსა შინა თვისის ნასიბრძნისა, რათა მით არ დაახბნელოს უპირატესი თვისი წინადადება.

მისივე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჟურნალ-გაზეთების სალაპარაკოდ მარტო ტრანსვაალის პრეზიდენტი კრიუგერი არ გამხდარა. ბევრსა სწერენ გაზეთები ამ პრეზიდენტის მეუღლის—„ბებია სუსანნას“ (ასე ეძახიან ტრანსვაალში) შესახებაც. ქ-ნი კრიუგერი საოცარი მშრომელი, მუყაითი [illegible] პრეზიდენტად არის და ყველა ამ ხელობასა და საქმეში ცოლი ერთგულ თანაშემწეობას უწევდა. ეხლაც, როგორც ფერმერობის დროს, თვით აკეთებს ყოველ გვარ საოჯახო საქმეს, ჰკერავს ტანისამოსს, ამზადებს საჭმელს და სხვა. როდესაც პრეზიდენტი სახლშია, ცოლი დილით ადრე, 5 საათზედ, ყავას ამზადებს, შემდეგ სადილის მზადებას შეუდგება ხოლმე, საღამოთი კიდევ ჰკერავს. ტანისამოსს კრიუგერის მეუღლე თვით იკერავს. ეს კია, რომ ბევრი ტანისამოსი არცა აქვს: იმის გარდერობში მხოლოდ სამი კაბაა, სამივე შავის ფერისა. შლიაპაც ორის მეტი არა აქვს. ერთს დღესასწაულების დროს იხურავს ხოლმე. ეს შლიაპა ისევე სახელგანთქმულია პრეტორიაში, როგორც პრეზიდენტის შესანიშნავი ცილინდრი. კრიუგერის ცოლი დიდი წინააღმდეგია მოდისა. კარსეტი, ბანტები და სხვა ამისთანა რამეები ჭირივით ეჯავრება.

* * *

ამ ორის თვის წინად ერთს ახალგაზდა იტალიელს ჩხუბი მოსვლია. ჩხუბის დროს ამ ახალგაზდასათვის ხანჯალი გულში ჩაურტყამთ და ძალიან მძიმედ დაუჭრიათ. ასეთ ჭრილობას ჩვეულებრივ სიკვდილი მოსდევს და დღემდის მაგალითი არა ყოფილა, რომ გულში დაჭრილი კაცი ექიმებს მოერჩინოთ. როგორც ერთი გაზეთი იუწყება, ზემოხსენებული იტალიელი დროზედ მოუყვანიათ საავადმყოფოში, სისხლი თუმცა ბევრი დაეკარგა, მაგრამ სიცოცხლეს მაინც ჯერ არ გამოსალმებოდა. ჭრილობა გულში ერთის სანტიმეტრის სიღრმეზედ აღმოჩნდა. ექიმს, გაუშინჯნია რა ავადმყოფი, ამდგარა და გაუკერია ჭრილობა, ამ საშუალებას საუკეთესო შედეგი მოჰყოლია. 49 დღის შემდეგ დაჭრილი იტალიელი სრულიად განკურნებულა და საავადმყოფოდგან გასულა.

* * *

როგორც ერთს ბრესლაველს ექიმს გამოუკვლევია წვერში საშინლად ბუდობენ თურმე სხვა და სხვა მიკრობები და ბაცილები. ეს ექიმი ურჩევს ყველა ქირურგს ამიერიდგან წვერი აღარ ატარონ, ან ოპერაციის დროს ამ ექიმის მიერ გამოგონილი აფარებული (მასკა) გაიკეთონ ხოლმე. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, ეჭვი არ არის, ქირურგებმაც არტისტებსა და კათოლიკების მღვდლებს უნდა მიჰბაძონ და იმათსავით უწვერ-ულვაშო იარონ.

* * *

ზამბახი, ეს მშვენიერი, სუნნელოვანი ყვავილი, შხამიანი ყოფილა თურმე. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ზამბახის ღერო და თვით ყვავილიც ძლიერის შხამით, ეგრედ წოდებულ გლიუკოზით, ყოფილა გაჟღენთილი. ბევრმა იცის, ზამბახის ფოთოლს პირში ჩაიდებს ხოლმე. ასეთი ჩვეულება ძალიან მავნებელია. თუ პირში ცოტაოდენი ჭრილობაა ან გაკაწრულია, წვენი ზამბახის ფოთლისა სისხლში ჩაერევა და მოშხამავს. ფრინველს, რომელიც ზამბახს კენკვას დაუწყებს ხოლმე, ერთის საათის შემდეგ ჰკლავს ამ ყვავილის შხამი. განსაკუთრებით ბევრი იხოცება ზამბახისაგან ბეღურა. ბეღურას უყვარს ზამბახის ყვავილის კენკვა, ის კი არ იცის, რამდენად მავნებელია იგი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საავენტოსაგან)

17 ნოემბერი

**ლონდონი.** როგორც პიტერმარიობურგიდგან დეპეშით იუწყებიან, ლედი-სმიტიდგან ცნობა მოვიდა; რომ იქ მშვიდობიანობა არისო.

როგორც ბულლერი იუწყება, გრუსპაოს ბრძოლაში საზღვაო ბრიგადამ 189 კაცამე დაჰკარგა.

**კაპშტადტი.** დღეს მოვიდა აქ გემი „Bouartien“ უცხო-სახელმწიფოთა სამხედრო აგენტებითა.

**ბერლინი.** „Deut Zeit.“-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდგან, კრიუგერმა და შტეინმა მისწერეს ჟუბერსა და კრონიეს, რომ თქვენ ჯარს ნუ გაჰფანტავთ და სხვა და სხვა ადგილის აღებას ნუ გამოუდგებითო, ეცადეთ ერთობლივ იმოქმედოთო.

ჟუბერმა, რათა ინგლისელებს გასაქცევი გზა შეუკრას, თავისი ჯარი სამად გაჰყო: ერთი ნაწილი ლედისმიტთან დააყენა, მეორე-მდინარე ტუგელთან და მესამე პიტერმარიცბურგ-ესტკორტის აღმოსავლეთით. ასევე მოიქცა კრონიე დასავლეთით კიმბერლეისთან.

## წერილი რედაქციის მიმართ

იორდანე და სპირიდონ გრიგოლის ძე სიხარულიძეებმა შემოსწირეს სამტრედიის სამინისტრო სკოლას ორასი მანეთი, რისთვისაც დიდს მადლობას ვწირავთ.

სამტრედიის მოვაჭრეები და ჩელტის მცხოვრებლები

# განცხადებანი


აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელოების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—43) ნ. წერეთელი


## ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკს

8 ნოემბერს 1899 წელს ჰქონდა ორმოცდა მეცხრე ტირაჟი ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა. ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1900 წლის 2 იანვრიდგან. ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში, ს. პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ. ოდესას—ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში—აზოვ-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა 1900 წლის 2 იანვრიდგან გასდით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ღირებულობა იქმნება დაჭერილი იმ ფულიდგან, რომელიც ტირაჟში გამოსულ ბილეთში უნდა მიიღეთ.

მე-49 ტირაჟში გამოსულ $4^{1}/_{2}\%$ უვადო გირავნობის ფურცლების ნომრები:

| ას მანეთიან ღირებ. | | | ხუთას მან. ღირებ. | | | ათას მან. ღირებ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 98 | 358 | 600 | 354 | 770 | 1137 | 151 | 967 | 2182 |
| 101 | 387 | 798 | 440 | 828 | 1156 | 316 | 1419 | 2378 |
| 106 | 403 | 822 | 468 | 945 | 1184 | 448 | 1620 | 2381 |
| 144 | 531 | 869 | 627 | 960 | 1185 | 686 | 1668 | |
| 301 | 562 | | 730 | 1125 | 1206 | 710 | 1846 | |

### მე 49 ტირაჟში გამოსულ 5% გირავნობის ფურცლების ნომრები:

ას მანეთიან ღირებულობისა.

| 9 წლის და 9 თვის ვადით | 36 წლის და 4 თვის ვადით | | 61 წლის და 8 თვის ვადით | უვადო. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27 | 212 | 1882 | 1041 | 86 | 779 | 1743 | 2594 | 3672 | 5378 |
| 92 | 283 | 1897 | | 87 | 828 | 1780 | 2641 | 3721 | 5405 |
| 93 | 338 | 1934 | | 91 | 830 | 1792 | 2643 | 3722 | 5524 |
| | 360 | 1985 | | 107 | 834 | 1832 | 2886 | 3725 | 5614 |
| | 380 | 1988 | | 108 | 836 | 1893 | 3012 | 3808 | 5779 |
| | 427 | 2045 | | 130 | 837 | 1958 | 3067 | 3857 | 5805 |
| | 551 | 2058 | | 319 | 840 | 1960 | 3144 | 4024 | 7528 |
| | 566 | 2090 | | 497 | 1118 | 2097 | 3202 | 4073 | 7530 |
| | 580 | 2123 | | 557 | 1162 | 2127 | 3262 | 4504 | |
| | 1162 | 2157 | | 575 | 1413 | 2188 | 3270 | 4613 | |
| | 1276 | | | 577 | 1436 | 2219 | 3361 | 4772 | |
| | 1296 | | | 586 | 1480 | 2256 | 3390 | 4841 | |
| | 1432 | | | 593 | 1508 | 2302 | 3406 | 5016 | |
| | 1520 | | | 615 | 1510 | 2309 | 3556 | 5253 | |
| | 1530 | | | 766 | 1667 | 2321 | 3557 | 5322 | |
| | 1572 | | | 777 | 1689 | 2336 | 3558 | 5376 | |

ხუთას მანეთიან ღირებულობისა.

| 36 წლის და 4 თვის ვადით. | უვადო. | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 128 | 23 | 380 | 999 | 1606 | 2741 | 3707 | 4552 |
| 689 | 29 | 385 | 1146 | 1656 | 2822 | 3714 | 4757 |
| 859 | 30 | 405 | 1182 | 1710 | 2823 | 3930 | 4782 |
| 870 | 77 | 420 | 1321 | 1919 | 2940 | 4024 | 4784 |
| | 143 | 437 | 1329 | 2017 | 2951 | 4039 | 4937 |
| | 222 | 497 | 1393 | 2021 | 3068 | 4091 | 4944 |
| | 231 | 578 | 1411 | 2149 | 3132 | 4093 | 5127 |
| | 262 | 582 | 1452 | 2380 | 3138 | 4296 | 5186 |
| | 314 | 584 | 1503 | 2511 | 3424 | 4320 | |
| | 348 | 585 | 1557 | 2560 | 3539 | 4322 | |
| | 351 | 834 | 1558 | 2578 | 3651 | 4473 | |
| | 353 | 871 | 1605 | 2739 | 3672 | 4538 | |

ათას მანეთიან ღირებულობისა

| 36 წ. და 4 თ. ვად. | უვადო | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 669 | 17 | 796 | 1850 | 3373 | 4496 | 6273 | 8015 | 10495 | 12367 | 14226 | 17662 |
| 894 | 34 | 797 | 1908 | 3377 | 4497 | 6486 | 8182 | 10496 | 12402 | 14235 | 18303 |
| 968 | 58 | 861 | 1954 | 3442 | 4509 | 6591 | 8469 | 10502 | 12411 | 14360 | 18482 |
| | 102 | 870 | 1958 | 3460 | 4510 | 6617 | 8619 | 10503 | 12425 | 14388 | 18490 |
| | 103 | 892 | 2053 | 3469 | 4522 | 6769 | 8626 | 10504 | 12432 | 14430 | 18493 |
| | 119 | 901 | 2095 | 3474 | 4542 | 6770 | 8729 | 10505 | 12462 | 14435 | 18508 |
| | 126 | 909 | 2104 | 3506 | 4555 | 6771 | 8746 | 10509 | 12482 | 14441 | 18509 |
| | 127 | 942 | 2145 | 3571 | 4616 | 6774 | 8771 | 10639 | 12502 | 14648 | 18521 |
| | 134 | 953 | 2216 | 3605 | 4634 | 6775 | 9005 | 10690 | 12694 | 14650 | 18522 |
| | 136 | 1058 | 2246 | 3622 | 4726 | 6803 | 9043 | 10692 | 12702 | 14676 | 18523 |
| | 137 | 1099 | 2282 | 3650 | 4770 | 6807 | 9050 | 11043 | 12744 | 14950 | 18533 |
| | 138 | 1110 | 2330 | 3660 | 4916 | 6845 | 9052 | 11069 | 12750 | 15095 | 18534 |
| | 139 | 1136 | 2352 | 3671 | 4918 | 6846 | 9072 | 11154 | 12765 | 15241 | 18544 |
| | 140 | 1142 | 2368 | 3738 | 4931 | 6852 | 9119 | 11195 | 12774 | 15347 | 18546 |
| | 141 | 1143 | 2370 | 3774 | 4938 | 6854 | 9180 | 11208 | 12862 | 15376 | 18674 |
| | 142 | 1261 | 2372 | 3824 | 5238 | 6855 | 9761 | 11210 | 12964 | 15377 | 18675 |
| | 204 | 1404 | 2444 | 3856 | 5252 | 6857 | 9926 | 11211 | 13055 | 15378 | 18686 |
| | 235 | 1558 | 2543 | 3889 | 5258 | 6874 | 9970 | 11264 | 13108 | 15518 | 18916 |
| | 302 | 1561 | 2605 | 3918 | 5259 | 6968 | 9978 | 11408 | 13184 | 15836 | 18919 |
| | 325 | 1575 | 2611 | 4014 | 5277 | 7018 | 9979 | 11587 | 13185 | 15904 | 18920 |
| | 326 | 1623 | 2636 | 4015 | 5401 | 7019 | 9983 | 11706 | 13384 | 15905 | 18934 |
| | 332 | 1630 | 2641 | 4017 | 5538 | 7137 | 10097 | 11784 | 13406 | 15906 | 18936 |
| | 404 | 1643 | 2721 | 4055 | 5557 | 7299 | 10105 | 11869 | 13501 | 15907 | 19272 |
| | 422 | 1662 | 2795 | 4059 | 5600 | 7300 | 10134 | 11873 | 13502 | 16012 | 19273 |
| | 423 | 1714 | 2832 | 4064 | 5838 | 7364 | 10171 | 11876 | 13558 | 16740 | 19274 |
| | 449 | 1736 | 2918 | 4198 | 5851 | 7401 | 10205 | 11877 | 13587 | 17016 | 19275 |
| | 459 | 1737 | 2958 | 4284 | 6084 | 7402 | 10248 | 11894 | 13779 | 17047 | 19276 |
| | 517 | 1738 | 2987 | 4395 | 6085 | 7406 | 10257 | 11969 | 13843 | 17048 | 19277 |
| | 549 | 1739 | 3023 | 4399 | 6086 | 7527 | 10261 | 11987 | 13858 | 17427 | 19278 |
| | 560 | 1740 | 3030 | 4402 | 6087 | 7554 | 10302 | 12002 | 13863 | 17488 | 19288 |
| | 582 | 1741 | 3057 | 4412 | 6101 | 7610 | 10313 | 12071 | 13881 | 17490 | |
| | 611 | 1804 | 3088 | 4413 | 6102 | 7673 | 10325 | 12126 | 13910 | 17505 | |
| | 637 | 1809 | 3094 | 4429 | 6103 | 7715 | 10424 | 12143 | 13997 | 17508 | |
| | 718 | 1825 | 3154 | 4430 | 6183 | 7725 | 10425 | 12176 | 14085 | 17601 | |
| | 743 | 1828 | 3155 | 4434 | 6198 | 7739 | 10428 | 12214 | 14174 | 17602 | |
| | 764 | 1829 | 3319 | 4451 | 6270 | 7775 | 10429 | 12325 | 14181 | 17603 | |
| | 794 | 1830 | 3355 | 4460 | 6271 | 7972 | 10430 | 12349 | 14182 | 17604 | |

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Ноябр 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე